**ხელშეკრულება**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N97**

ქ. ბათუმი 27 აპრილი 2018 წ.

ერთის მხრივ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (შემდგომში – ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის ვიცე-მერის, მერის მ/შ თენგიზ პეტრიძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ვილფორთ'', (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თორნიკე აფრიდონიძის სახით, (ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე - NAT180005002) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

**1.1.** წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა განახორციელოს შ.შ.მ. სტატუსის ბავშვების, ვეტერანების და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაციის მომსახურება (CPV98300000-სხვადასხვა მომსახურება) შემდგომში - „მომსახურება", ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით. (მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია დანართში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (ტექნიკური პირობები, ფასების ცხრილი, ბენეფიციარების ყოველდღიური კვების რაციონი (მენიუ)), ასევე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ელექტრონული ტენდერის - NAT180005002 ველში განთავსებული დოკუმენტაციები).

**1.2.** მიმწოდებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს შესრულებულ მომსახურებას და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად.

**1.3.** წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

## 2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი

**2.1.** ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 304170,00 (სამასოთხიათას ას სამოცდაათი) ლარს.

**2.2.** მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

**2.3.** ანგარიმსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

**2.4.** მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, მომსახურების შესრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით.

**2.5.** მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან ერთად დააფიქსიროს შესრულებული მომსახურების ღირებულება.

„შემსყიდველი"
---
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"
---
(ხელმოწერა)

**2.6.** მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების ყოველთვიური გადახდის სავარაუდო გრაფიკი. შემსყიდველის მიერ ანაზღაურება განხორციელდება აღნიშნული პირობის მიმწოდებლის მხრიდან შესრულების შემდგომ.

## 3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

**3.1.** ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლს, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი გულნაზ ბოლქვაძე - ხარაზი ან ამავე განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლელა ალექსანდროვა. შემსყიდევლს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებლებრივი აქტით მიანიჭოს ქ. ბათუმის მერიის სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

**3.2.** ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლის, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების 3.1. პუნქტის შესაბამისად შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირზე მინიჭების შემდეგ ასეთი უფლებამოსილების მინიჭებამდე შესრულებული მომსახურების კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების შედეგები და გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

**3.3.** შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

**3.4.** მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

**3.5.** მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

**4.1.** შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

**4.2.** თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

**4.3.** გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

„შემსყიდველი“
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“
(ხელმოწერა)

**4.4.** შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

**4.5.** მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**5.1.** შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

**5.2.** შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.

ბ) მომსახურების შესრულების დამოწმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად.

**5.3.** შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

**5.4.** მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**5.5.** მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების, შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

## 6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

**6.1.** მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე 50 ლარის ოდენობით;

**6.2.** საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

**6.3.** შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად შემსყიდველის სასარგებლოდ;

**6.4.** შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწნებული პირგასამტეხლო გაუქვითოს მიმწოდებელს სახელშეკრულებო ფასიდან.

## 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

**7.1.** ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

**7.2.** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

**7.3.** ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

**7.4.** ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**7.5.** მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

**7.6.** შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

**7.6.1.** მიმწოდებლის მიერ გაფრთხილების მიუხედავად ხელშეკრულების იმავე პირობების განმეორებით ან/და სხვა პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში;

**7.6.2.** ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე აშკარა ხდება, რომ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტის) საფუძვლები, ხოლო შემსყიდველმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;

**7.6.2.** თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

**7.7.** წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

**7.8.** ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

**7.9.** ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

## 8. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

**8.1.** მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში, შემსყიდველთან შეთანხმებით, ეტაპობრივად;

**8.2.** მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

| № | მომსახურების დასახელება | პერიოდი |
|---|---|---|
| 1 | საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია დაბა ურეკში | ივნისი-სექტემბერი |
| 2 | საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია ბორჯომის რაიონში | ივნისი-აგვისტო |
| 3 | საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია კურორტ წყალტუბოში | ივნისი-აგვისტო |

**8.3.** ხელშეკრულების მოქმედების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 25 იანვრამდე პერიოდი.

„შემსყიდველი“
---
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“
---
(ხელმოწერა)

## 9. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

**9.1.** იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია, გაცემული სს ,,საქართველოს ბანკი"-ს მიერ. (№PE40882-18);

**9.2.** ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფაზე სს,,საქართველოს ბანკი"-ს მიერ მიმწოდებელზე გაცემული საბანკო გარანტია № PE40882-18 ძალაშია 2018 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით.

## 10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

**10.1.** მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

**10.2.** ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

**10.3.** მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყონებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

**11.1.** ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

**11.2** თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 12. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 13. შეტყობინება

**13.1.** ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

**13.2.** შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღე-ბიდან რომელი უფრო გვიანდგება.

„შემსყიდველი"
---
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"
---
(ხელმოწერა)

## 14. სხვა პირობები

**14.1.** მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

**14.2.** ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

**14.3.** ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

## მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

**„შემსყიდველი"**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
აღმასრულებელი ორგანო
მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25
ს/კ 245576826;
ბანკის დასახელება-სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ: TRESGE22
ანგ. №GE24NB0330100200165022
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი
მერის მ/შ თენგიზ პეტრიძე

**„მიმწოდებელი"**

შპს ,,ვილფორთ''
ს/კ: 405261559
მის: თბილისი, გიორგი ბრწყინვალის #8
ბინა 17
ელ-ფოსტა wellfort321@gmail.com
ს.ს. "საქართველოს ბანკი"
ბ/კ: BAGAGE22
ანგ.GE37BG0000000100861132
ტელ: 599286244
დირექტორი: თორნიკე აფრიდონიძე

„შემსყიდველი"
---
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"
---
(ხელმოწერა)

## ტექნიკური პირობები

**მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:**

***1. საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია ურეკში, კერძოდ:***

საკურორტო-სამკურნალო სარეაბილიტაციო მომსახურეობა ზღვის კურორტზე ურეკში, ზღიდან პირველ ზოლში, მაგნიტური ქვიშის მქონე სანაპიროთი სასტუმროში ან დასასვენებელ სახლში 12 დღის განმავლობაში რამდენიმე ნაკადად:

- შშმ სტატუსის ბავშვთა, ომის ინვალიდების, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების 90 პირის შემადგენლობით;
- ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ პირების, ომის ინვალიდების, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების თანმხლები პირების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების 89 პირის შემადგენლობით;
- ომის ვეტერანი ასაკით პენსიონერების მომსახურეობა 20 პირის შემადგენლობით;
- საცხოვრებელი გარემო უნდა იყოს კომფორტული და მისადაგებული კონტიგენტის სპეციფიურობაზე, (ნომრები ორ ადგილიანი და ოთხადგილიანი, თითოეულ ნომერს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური სველი წერტილი, კონდიცირება, ტელევიზორი. დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები (ნომერი ყოველდღიურად უნდა ლაგდებოდეს სველი წესით.) ყველა სართულზე უნდა იყოს ცეცხლმაქრი. დაწესებ-ულებას უნდა ჰქონდეს მასაჟის კაბინეტი, სამედიცინო კაბინეტი, კეთილმოწყობილი ეზო. მომსახურეობის პერიოდში ბენეფიციარები და მათი თანმხლები პირები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ პირველადი უფასო სამედიცინო დახმარებით, შშმ სტატუსის ბავშვებს, ომის ინვალიდებს, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარებს უნდა ჩაუტარდეთ უფასო სამკურნალო მასაჟებისა და უფასო სამკურნალო ფიზკულტურის 12 სეანსი. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამჯერადი სრულფასოვანი კვება წარმოდგენილი მენიუს მიხედვით და უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კომფორტული ტრანსპორტით ბენეფიციარებისა და მათი გამყოლების ტრანსპორტირება ქ. ბათუმიდან კურორტამდე და კურორტიდან ქ. ბათუმში.

***2. საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია ბორჯომის რაიონში, კერძოდ:***

საკურორტო-სამკურნალო სარეაბილიტაციო მომსახურეობა ბორჯომის რაიონში სასტუმროში ან სანატორიუმში 12 დღის განმავლობაში რამდენიმე ნაკადად:

- შშმ სტატუსის ბავშვთა, ომის ვეტერანი პენსიონერების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების, ომის ინვალიდების და თანმხლები პირების მომსახურეობა (ბორჯომის რაიონი) 240 პირის შემადგენლობით;
- ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების მომსახურეობა 12 პირის შემადგენლობით;
- საცხოვრებელი გარემო უნდა იყოს კომფორტული და მისადაგებული კონტიგენტის სპეციფიურობაზე, (ნომრები ორი და ოთხადგილიანი). თითოეულ ნომერს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური სველი წერტილი, ტელევიზორი. დაწესებულებას უნდა

„შემსყიდველი“

---

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

---

(ხელმოწერა)

ჰქონდეს, სამედიცინო კაბინეტი, კეთილმოწყობილი ეზო, მომსახურეობის პერიოდში ბენეფიციარები და მათი გამყოლები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ პირველადი უფასო სამედიცინო დახმარებით, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამჯერადი სრულფასოვანი კვება წარმოდგენილი მენიუს მიხედვით და უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კომფორტული ტრანსპორტით ბენეფიციარებისა და მათი გამყოლების ტრანსპორტირება ქ. ბათუმიდან კურორტამდე და კურორტიდან ქ. ბათუმში.

### *3. საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია კურორტ წყალტუბოში, კერძოდ:*

საკურორტო-სამკურნალო სარეაბილიტაციო მომსახურეობა კურორტ წყალტუბოში სასტუმროში ან სანატორიუმის ტიპის დაწესებულებაში 12 დღის განმავლობაში რამდენიმე ნაკადად:

- შშმ სტატუსის ბავშვთა, ომის ინვალიდების და ომის ვეტერანი ასაკით პენსიონერების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების მომსახურეობა 35 პირის შემადგენლობით;
- ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების მომსახურეობა 5 პირის შემადგენლობით;
- შშმ სტატუსის ბავშვთა, ომის ინვალიდების თანმხლები პირების მომსახურეობა 25 პირის შემადგენლობით;
- საცხოვრებელი გარემო უნდა იყოს კომფორტული და მისადაგებული კონტიგენტის სპეციფიურობაზე, (ნომრები ორ და ოთხადგილიანი, თითოეულ ნომერს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური სველი ტელევიზორი. დაწესებულებას უნდა ჰქონდეს მასაჟის კაბინეტი, სამედიცინო კაბინეტი, კეთილმოწყობილი ეზო,) მომსახურეობის პერიოდში ბენეფიციარები და მათი გამყოლები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ პირველადი უფასო სამედიცინო დახმარებით, ბენეფიციარებს უნდა ჩაუტარდეს უფასო სამკურნალო ტალახის აბაზანები ან მინერალური წყლის აბაზანები საჭიროების მიხედვით 12 სეანსი, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამჯერადი სრულფასოვანი კვება წარმოდგენილი მენიუს მიხედვით და უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კომფორტული ტრანსპორტით ბენეფიციარებისა და მათი გამყოლების ტრანსპორტირება ქ. ბათუმიდან კურორტამდე და კურორტიდან ქ. ბათუმამდე.

***შენიშვნა:*** *შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე ადგილზე მისვლით შეამოწმოს მიმწოდებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.*

„შემსყიდველი"
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"
(ხელმოწერა)

## ფასების ცხრილი

| N | მომსახურების დასახელება | განზომილების ერთეული, რაოდენობა | | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შშმ სტატუსის ბავშვთა, ომის ინვალიდების  და მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების მომსახურეობა (ურეკი) | კაცი | 90 | 564 | 50760 |
| 2 | ომის ვეტერანი ასაკით პენსიონერების მომსახურება (ურეკი) | კაცი | 20 | 564 | 11280 |
| 3 | ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების,  შშმ პირების,  ომის ინვალიდების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების  მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების  თანმხლები პირების მომსახურეობა (ურეკში) | კაცი | 89 | 564 | 50196 |
| 4 | შშმ სტატუსის ბავშვთა,  ომის ინვალიდების და ომის ვეტერანი ასაკით პენსიონერების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების ბენეფიციარების მომსახურეობა (წყალტუბო) | კაცი | 35 | 564 | 19740 |
| 5 | შშმ სტატუსის ბავშთა, ომის ინვალიდების თანმხლები პირების მომსახურება (წყალტუბო) | კაცი | 25 | 564 | 14100 |
| 6 | ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების მომსახურეობა (წყალტუბო) | კაცი | 5 | 564 | 2820 |
| 7 | შშმ სტატუსის ბავშვთა, ომის ვეტერანი პენსიონერების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების,  ომის ინვალიდების და თანმხლები პირების  მომსახურეობა (ბორჯომი) | კაცი | 240 | 564 | 135360 |
| 8 | ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების მომსახურეობა (ბორჯომის რაიონი) | კაცი | 12 | 564 | 6768 |
| 9 | ტრანსპორტირების ხარჯი | რეისი | 20 | 657.3 | 13146 |
| | **სულ ჯამი:** | | | | 304170.00 |

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

WELLFORT LLC 405261559

| ორშაბათი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ყველი | 50 | გრამი |
| 2 | ჩაი | 0,2 | გრამი |
| 3 | პური | 300 | გრამი |
| 4 | კარაქი | 20 | გრამი |
| 5 | მანის ფაფა | 200 | გრამი |
| 6 | ფუნთუშა | 1ც 50 გრ | გრამი |

| სამშაბათი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ჯემი | 30 | გრამი |
| 2 | ჩაი | 0,2 | გრამი |
| 3 | პური | 300 | გრამი |
| 4 | კარაქი | 20 | გრამი |
| 5 | ფაფა მაკარონის | 250 | გრამი |
| 6 | ფუნთუშა | 1ც 50 გრ | გრამი |
| 7 | მოხარშული კვერცხი | 1ც | ცალი |

| ოთხშაბათი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ომლეტი | 150 | გრამი |
| 2 | ჩაი | 0,2 | გრამი |
| 3 | პური | 300 | გრამი |
| 4 | კარაქი | 20 | გრამი |
| 5 | ფაფა ვერმიშელის | 300 | გრამი |
| 6 | თაფლი | 20 | გრამი |

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

| ზეთშაბათი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ჩაი | 0,2 | გრამი |
| 2 | პური | 300 | გრამი |
| 3 | კარაქი | 20 | გრამი |
| 4 | შვრიის ფაფა | 250 | გრამი |
| 5 | ჯემი | 20 | გრამი |
| 6 | ფუნთუშა | 1ც | ცალი |

| პარასკევი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ჩაი | 0,2 | გრამი |
| 2 | პური | 200 | გრამი |
| 3 | კარაქი | 20 | გრამი |
| 4 | ბრინჯის ფაფა | 300 | გრამი |
| 5 | ფუნთუშა | 1ც | ცალი |
| 6 | ხაჭო-არაჟანით | 100-100 | გრამი |

| შაბათი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ჩაი | 0,2 | გრამი |
| 2 | პური | 300 | გრამი |
| 3 | კარაქი | 20 | გრამი |
| 4 | ვერმიშელის ფაფა | 250 | გრამი |
| 5 | ყიყლიყო | 150 | გრამი |

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

| კვირა | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | კაკაო რძით | 10-200 | გრამი |
| 2 | პური | 300 | გრამი |
| 3 | კარაქი | 20 | გრამი |
| 4 | წიწიბურის ფაფა | 250 | გრამი |
| 5 | ფუნთუშა | 1ც | ცალი |
| 6 | ჯემი | 20 | გრამი |

## მენიუ სადილი

| ორშაბათი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | მაკარონის სუპი ძვლოვანი ნახარშით | 500 | გრამი |
| 2 | კოტლეტი კარტოფილის პიურეთი | 100/250 | გრამი |
| 3 | კომპოტი | 200 | გრამი |
| 4 | ბოსტნეულის სალათა | 100 | გრამი |
| 5 | პური | 250 | გრამი |
| 6 | ხილის ასორტი | 100 | გრამი |

| სამშაბათი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ბორშჩი ძვლის ნახარშით | 500 | გრამი |
| 2 | სოსისი წიწიბურით | 150/250 | გრამი |
| 3 | კომპოტი | 200 | გრამი |
| 4 | ბოსტნეულის სალათა | 100 | გრამი |
| 5 | პური | 250 | გრამი |
| 6 | ხილის ასორტი | 100 | გრამი |

„შემსყიდველი"
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"
(ხელმოწერა)

| ოთხშაბათი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ბრინჯის სუპი ძვლოვანი ნახარშით | 500 | გრამი |
| 2 | აჯაფსანდალი | 350 | გრამი |
| 3 | კომპოტი | 200 | გრამი |
| 4 | ბოსტნეულის სალათა | 100 | გრამი |
| 5 | პური | 250 | გრამი |
| 6 | ხილის ასორტი | 100 | გრამი |

| ხუთშაბათი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ბორშჩი ძვლის ნახარშით | 500 | გრამი |
| 2 | თევზი კარტოფილის პიურეთი | 120/250 | გრამი |
| 3 | კომპოტი | 200 | გრამი |
| 4 | ბოსტნეულის სალათა | 100 | გრამი |
| 5 | პური | 250 | გრამი |
| 6 | ხილის ასორტი | 100 | გრამი |

| პარასკევი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ბარდის სუპი | 500 | გრამი |
| 2 | ხორციანი ტოლმა კომბოსტოში | 300 | გრამი |
| 3 | კომპოტი | 200 | გრამი |
| 4 | ბოსტნეულის სალათა | 100 | გრამი |
| 5 | პური | 250 | გრამი |
| 6 | ხილის ასორტი | 100 | გრამი |

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

| შაბათი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ბრინჯის სუპი ბოსტნეულით | 500 | გრამი |
| 2 | კოტლეტი პიურეთი | 150/250 | გრამი |
| 3 | კომპოტი | 200 | გრამი |
| 4 | ბოსტნეულის სალათა | 100 | გრამი |
| 5 | პური | 250 | გრამი |
| 6 | ხილის ასორტი | 100 | გრამი |

| კვირა | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ვერმიშელის წვნიანი ბოსტნეულით | 500 | გრამი |
| 2 | მწვანე ლობიო კარტოფილით | 300 | გრამი |
| 3 | კომპოტი | 200 | გრამი |
| 4 | ბოსტნეულის სალათა | 100 | გრამი |
| 5 | პური | 250 | გრამი |
| 6 | ხილის ასორტი | 100 | გრამი |

„შემსყიდველი"
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"
(ხელმოწერა)

## მენიუ ვახშამი

| ორშაბათი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ჩაი | 0,2 | გრამი |
| 2 | პური | 300 | გრამი |
| 3 | კარაქი | 20 | გრამი |
| 4 | მაკარონი ყველით | 40-300 | გრამი |
| 5 | ფუნთუშა | 1ც | ცალი |
| 6 | ჯემი | 20 | გრამი |

| სამშაბათი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ჩაი | 0,2 | გრამი |
| 2 | პური | 300 | გრამი |
| 3 | კარაქი | 20 | გრამი |
| 4 | ბრინჯიანი ფლავი ქიშმიშით | 350 | გრამი |
| 5 | მაწონი | 200 | გრამი |

| ოთხშაბათი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | კაკაო რძით | 10-200 | გრამი |
| 2 | პური | 300 | გრამი |
| 3 | კარაქი | 20 | გრამი |
| 4 | ხაჭაპური | 250 | გრამი |
| 5 | მაკარონი ხორცით | 40-250 | გრამი |

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

WELLFORT LLC
WELLFORT
405261559

| ზუთშაბათი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ჩაი | 0,2 | გრამი |
| 2 | პური | 300 | გრამი |
| 3 | კარაქი | 20 | გრამი |
| 4 | სოსისი პიურეთი | 150-300 | გრამი |
| 5 | კარტოფილის ღვეზელი | 100 | გრამი |

| პარასკევი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ჩაი | 0,2 | გრამი |
| 2 | პური | 300 | გრამი |
| 3 | კარაქი | 20 | გრამი |
| 4 | ყიყლიყო | 200 | გრამი |
| 5 | მაწონი | 150 | გრამი |
| | | | |

| შაბათი | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | ჩაი | 0,2 | გრამი |
| 2 | პური | 300 | გრამი |
| 3 | კარაქი | 20 | გრამი |
| 5 | მაკარონი ყველით | 40-250 | გრამი |
| 6 | ჯემი | 20 | გრამი |
| 7 | ფუნთუშა | 1ც | ცალი |

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

| კვირა | | | |
|---|---|---|---|
| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეული |
| 1 | კაკაო რძით | 10-200 | გრამი |
| 2 | პური | 300 | გრამი |
| 3 | კარაქი | 20 | გრამი |
| 4 | შემწვარი კარტოფილი | 350 | გრამი |
| 5 | ყველი | 50 | გრამი |

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

იგრძენი მომავალი

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია # PE40882-18

24 აპრილი 2018 წელი

თბილისი

გარანტი: სს საქართველოს ბანკი (შემდგომში „გარანტი“)
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს ვილფორთ (შემდგომში „პრინციპალი“)
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 405261559
პრინციპალის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიდი დიღომი გ.ბრწყინვალეს ქ. N 8 ბ. 17
ბენეფიციარი: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია (შემდგომში „ბენეფიციარი“)
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 245576826
საგარანტიო თანხა: 15,209 (თხუთმეტი ათას ორასცხრა) ლარი
ტენდერის უნიკალური ნომერი: #NAT180005002

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა შ.შ.მ. სტატუსის ბავშვების, ვეტერანების და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაციის მომსახურების გაწევის მიზნით წარდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ. გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 15,209 (თხუთმეტი ათას ორასცხრა) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის, გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე, მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

წინამდებარე გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან და მოქმედია 2018 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი წერილობით მოთხოვნის ორიგინალი დოკუმენტი თანხის ანაზღაურებაზე, გარანტის მიერ მიღებულ უნდა იქნას გარანტიის მოქმედების ვადის ჩათვლით სს "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ, თბილისის დროით (UTC / GMT +04: 00 საათი) 17:00 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: გაგარინის ქ.#29ა, თბილისი 0160, საქართველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,
ბიერ ჩხეიძე
გარანტიების სამსახურის უფროსი

204378869

**ინფორმაცია**

**ინტერესთა კონფლიქტის შესახებ**

ქ. ბათუმი 27 აპრილი 2018 წ.

ვადასტურებთ, რომ შ.შ.მ. სტატუსის ბავშვების, ვეტერანების და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაციის მომსახურება (ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე - NAT180005002) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
აღმასრულებელი ორგანო,
მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ — თენგიზ პეტრიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის, ჯანმრთელობის დაცვის
განყოფილების უფროსი — გულნაზ ბოლქვაძე - ხარაზი